სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ადგილობრივი თვითმმართველობის პროფესიული საჯარო მოხელის ვაკანტურ თანამდებობაზე - **სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მესამე რანგის, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, იურიდიულ საკითხებში** - გამოცხადებულია ღია კონკურსი.

კონკურსში მონაწილეობის მსურველმა კანდიდატმა, საკონკურსო კომისიას უნდა წარუდგინოს განაცხადი მხოლოდ ელექტრონული ფორმით, საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებ-გვერდის (www.hr.gov.ge) მეშვეობით;

- ღია კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს ქმედუნარიან მოქალაქეს, რომელიც აკმაყოფილებს „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 27-ე და 29-ე მუხლებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, რომელიც ვაკანტურ თანამდებობაზე მიიღება გამოსაცდელი ვადით, რომლის ხანგრძლივობა შეადგენს 12 თვეს.

ჩემი რეზიუმე"-ს შესაბამის ბლოკში კანდიდატი ვალდებულია ატვირთოს:

ა) ველში - „განათლება" - შესაბამისი/უმაღლესი, განათლების დამადასტურებელი დიპლომის/დოკუმენტის ასლი;

ბ) ველში - „სამუშაო გამოცდილება" - სამუშაო გამოცდილების ან/და მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი; უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ცნობა ან შრომის წიგნაკი (არსებობის შემთხვევაში), რომელშიც ასახული იქნება სამსახურის დაწყების და დასრულების სრული თარიღები და დაკავებული თანამდებობა.

გ) სამოტივაციო წერილი

-კანდიდატი, რომლის მონაცემებიც არ შეესაბამება დადგენილ საკონკურსო მოთხოვნებს, მათ შორის სავალდებულოდ ასატვირთი დოკუმენტების ან/და ინფორმაციის არასრულყოფილად წარდგენის შემთხვევაში, ვერ გადავა კონკურსის შემდეგ ეტაპზე.

კონკურსის ეტაპების შედეგების, ასევე ჩატარების ზუსტი ადგილის, თარიღისა და დროის შესახებ კანდიდატებს ეცნობებათ მათ მიერ განაცხადში მითითებული ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

კონკურსის ეტაპებია: განცხადების გადარჩევა და გასაუბრება.

- ინფორმაცია კონკურსის ეტაპების შესახებ, გასაუბრების ადგილის, თარიღის და დროის შესახებ კანდიდატებს ეცნობებათ მათ მიერ განაცხადში მითითებულ ტელეფონის ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით;

- კანდიდატი ვერ გადავა კონკურსის შემდეგ ეტაპზე, თუ იგი არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს, ან არასრულყოფილად იქნება წარმოდგენილი მითითებული დოკუმენტაცია; კონკურსის ყოველი ეტაპის შედეგები კანდიდატს ეცნობება მის მიერ აპლიკაციაში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე;

კონკურსი გამოცხადდა - **2022 წლის 19 ივლისს.**

განცხადების წარდგენის ბოლო ვადაა - **2022 წლის 23 ივლისი.**